

# საკრებულოს წევრის საქმიანობის ყოველკვარტალური (წლიური) ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: გოჩა მგელაძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის  
თავჯდომარე

ფრაქციის წევრობა: ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს წევრი  
კომისიის (კომისიების) წევრობა: ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია;

საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): 79-2 ოლქის მაჟორიტარი

საანგარიშგებო პერიოდი: 2020 წელი

---

## განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის  
წარმდგენი

10

2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

88

3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის  
წარმდგენმა

0

4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა  
ანგარიშის წარმდგენმა 20 (9 ინფრასტრუქტურა+11 საფინანსო)

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

19 ინფრასტრუქტურა

6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის  
წარმდგენმა

0

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები

ჩემს მიერ საკითხების ინიცირება ხდება ფრაქიციც სხდომებზე და მოწონების შემთხვევაში ისახება ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 30

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა: 300-400

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები ინფრასტრუქტურული, სოციალური, ჯანდაცვა.

11. სხვა განხორციელებული საქმიანობები

- ქალაქის მაშტაბით ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი სამუშაოების ადგილზე დათვალიერება და კონტროლი;
- ვარ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავჯდომარის მოადგილე და აქტიურად ვარ ჩართული კომისიის საქმიანობებში;
- ვარ „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ქვეპუნქტის „თ“ ქვეპუნქტით და მე-7 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განმახორციელებელი კომისიის თავჯდომარის მოადგილე;
- ვარ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის (მიკროავტობუსები) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსის ჩატარებისათვის შექმნილი კომისიის თავჯდომარის მოადგილე;
- ვარ ქალაქ ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის მართველი საბჭოს წევრი;
- აქტიურად ვარ ჩართული „კოვიდ-19“-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების განხორციელებაში;
- შეზღუდული პირობების მიუხედავად, შეძლებისდაგვარად ვხვდები მოსახლეობას ბონი-გოროდოკის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში.

## შედეგი, ეფექტი:

1. N79-02 სამაჟორიტარო ოლქში დამატებით განხორციელდა ბონი-გოროდოკის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა: ალ.ჩხაიძის ქუჩის (ფეხით სავალი ნაწილის

ერთ მხარეს, ჯიბეები) და ქუჩის გაგრძელების იაშვილის ქუჩიდან ერისთავის ქუჩამდე კეთილმოწყობა, შ.იოსელიანის ქუჩა, ერისთავის შესახვევი და II ჩიხი, ა. ნოლაიდელის ქუჩა, იაშვილის ქუჩა, კაიკაციშვილის ქუჩა, ქართველი იუნკერების ქუჩა, შალვა დადიანის ქუჩა და სესილია თაყაიშვილის ქუჩა.

2. დაიწყო დ.სვიშჩევსკის ქუჩის, შესახვევის და I და II ჩიხების კეთილმოწყობა.
3. ბიუჯეტში ჩაიღო და ტენდერი გამოცხადებულია ბარცხანის ხიდის რეაბილიტაციისათვის.
4. კეთილმოწყობა ეზოები შემდეგ მისამართებზე: მაიაკოვსკის 55/11, მაიაკოვსკის 55/22, მაიაკოვსკის 25
5. ი.ნონეშვილის ქუჩა N58-ში და ი.ნონეშვილის ქუჩა N60-ში არსებულ ცხრა სართულიან სახლებზე შეიფუთა დაზიანებული ფასადები.
6. ბაქოს 74-ში მოეწყო სკვერი და მოხდა არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

*განხორციელებული საქმიანობების შედეგად მიღებული შედეგი, მაგ. ანგარიშის წარმდგენის მიერ ინიცირებული რამდენი პროექტი იქნა მიღებული საკრებულოს მიერ, რა შესრულდა ამომრჩევლის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან*

### **შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:**

ძირითად პრიორიტეტებად ასევე რჩება ინფრასტრუქტურული პროექტები: დარჩენილი ქუჩების კეთილმოწყობა, ბაღების, სკვერების, საბავშვო ატრაქციონების და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.